ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 523

“4” ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.075) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სხიერელისთვის (პ/ნ. 01006014559) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.075) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სხიერელისთვის (პ/ნ. 01006014559) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 სექტემბრის №24.1592.1823 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.075), ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სხიერელისთვის (პ/ნ. 01006014559) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე